ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 39

(შესყიდვის შესახებ)

ქ. გორი " 31 ოქტომბერი " 2011 წ.

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი გორის №10 საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) მისი დირექტორი გ. ჯაფარიძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ. რუსუდან საგანელიძე „ფარნავაზი" (შემდგომში შემსრულებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანბახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. *ხელშეკრულების საგანი*

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია: თარიღის შტამპის დამზადება.

1.2. შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა. CPV კოდი 30192150

2. *ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და ვადა*

2.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ღირებულება შეადგენს: 22(ოცდაორი) ლარი.

2.3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

2.4. ხელშეკრულების ვადა განისაზღვროს: 31.10.11 – 4.11.11 წწ.

2.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად. ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

3 *მომსახურების გაწევის პირობები*

3.1. "შემსრულებელმა" უნდა უზრუნველყოს მხარეებს შორის მომსახურების გაწევის შეთანხმებული გრაფიკისა და წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებათა შესაბამისად მომსახურების გაწევა, რაც თავის მხრივ გულისხმობს: თარიღის შტამპის დამზადების მომსახურების შესყიდვა

4. მხარეთა უფლება მოვალეობანი.

4.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

--- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბმისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესბამისად,

4.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

--- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.4. შემსრულებელი ვალდებულია:

--- ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილ პირობებში გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება

4.5. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში "შემსყიდველს" წარუდგინოს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია.

4.6. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს „შემსყიდველის" მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლის აღმოფხვრა რომელიც გამოწვეულია გაწეული მომსახურებიდან.

4.7. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობასა და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.

4.9. შემსრულებელი უფლებამოსილია "შემსყიდველს" მოსთხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი

5.3. ინსპექტირება განხორციელდება პერიოდულად, წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.

5.4. „შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის თანავე.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ადგილია გორის №10 სკოლა.

6.3. გაწეული მომსახურების წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით, რის აღმოფხვრასაც საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".

7. ფორს-მაჟორული სიტუაცია

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.

7.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

8. დავების გადაწყვეტის წესი

8.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ სადაო საკითხებზე მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, დავა გადაწყდება სასამართლო წესით.

9. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

9.1. ხელშემკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. უფლებების გადაცემა.

10.1. შემსრულებელს არ აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11. ფასები

11.1. ხელშეკრულებით ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე

12. სხვა პირობები.

12.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

12.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

13. მხარეთა ხელმოწერები

ქგორის №10 სკოლა
თარხნიშვილის №22
ს/კ 218016741
სს პროკრედიტ ბანკი 220101950
ა/ა 340801011400014

დირექტორი _____ გ. ჯაფარიძე

ი.მ. რუსუდან საგანელიძე
ს/კ 01024012985
სს „საქართველოს ბანკი" CRTUGE22
GE47CR01 1000 9000 2236 02

_____ რ. საგანელიძე